შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №26
2017 წლის 29 დეკემბერი

დაბა შუახევი

შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის, არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ბ“ ქვეპუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის დადგენილება №8 - ვებგვერდი, 05.02.2018წ.

მუხლი 1

დამტკიცდეს შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის, არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის დებულება, თანდართული დანართის მიხედვით.

მუხლი 2

ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულის 2015 წლის 24 მარტის №20 დადგენილება გამოქვეყნებული ვებგვერდი: matsne.gov.ge; სარეგისტრაციო კოდი: 010260020.35.135.016135).

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

შუახევის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი დავითაძე**

დანართი

მერიის ეკონომიკის, არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის დებულება

მუხლი 1.

მერიის ეკონომიკის, არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის სამსახური

1. მერიის ეკონომიკის, არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის სამსახური (ტექსტში შემდგომ – სამსახური) არის მერიის სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკური განვითარების მუნიციპალური პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას, სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება-დამუშავებას, მუნიციპალიტეტის სივრცითი ტერიტორიული დაგეგმვისა და ქალაქმშენებლობის დოკუმენტების შემუშავებას, მშენებლობის ნებართვების თაობაზე გადაწყვეტილებების მომზადებას, მშენებლობაზე და არქიტექტურულ საქმიანობაზე ზედამხედველობას, მუნიციპალიტეტის ქონების მართვას.
2. ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულის 2015 წლის 24 მარტის №20 დადგენილება გამოქვეყნებული ვებგვერდი: matsne.gov.ge; სარეგისტრაციო კოდი: 010260020.35.135.016135).
3. სამსახურის საშტატო განრიგი და მოხელეთა თანამდებობრივი სარგოები განისზღვრება მერის წარდგინებით, შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ.
4. სამსახურს აქვს შტამპი, დადგენილი ფორმის ბეჭედი და ბლანკი სამსახურის სახელწოდების აღნიშვნით და სხვა საჭირო რეკვიზიტები.

მუხლი 2. სამსახურის სტრუქტურა

1. სამსახური შედგება სამსახურის უფროსისა და სტრუქტურული ქვედანაყოფების - განყოფილებებისაგან.
2. სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფებია:

ა) ქონებისა და მიწის მართვის განყოფილება;

ბ) მშენებლობისა და სივრცითი მოწყობის განყოფილება;

გ) ეკონომიკური დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და სოფლის მეურნეობის განყოფილება.
3. სამსახურის საქმიანობას წარმართავს სამსახურის უფროსი, რომლის უფლებამოსილებები და სამსახურებრივი ფუნქციები განისაზღვრება მერიის დებულებით, ამ დებულებითა და სამსახურის უფროსის სამუშაოთა აღწერილობით. უფროსის არყოფნის შემთხვევაში, მერის ბრძანებით, სამსახურის უფროსის უფლება-მოვალეობებს ახორციელებს სამსახურის ერთ-ერთი განყოფილების უფროსი.
4. სამსახურის განყოფილება შედგება განყოფილების უფროსისა და განყოფილების მოხელეებისაგან.
5. განყოფილების საქმიანობას წარმართავს განყოფილების უფროსი, რომლის უფლებამოსილებები და სამსახურებრივი ფუნქციები განისაზღვრება მერიის დებულების მე-11 მუხლით, ამ დებულებითა და შესაბამისი სამუშაოთა აღწერილობით. განყოფილების უფროსის არყოფნის შემთხვევაში, სამსახურის უფროსის ბრძანებით, განყოფილების უფროსის უფლება-მოვალეობებს ახორციელებს განყოფილების ერთ-ერთი მოხელე.
6. განყოფილების მოხელეების უფლება-მოვალეობები განისაზღვრება მერიის დებულების მე-13 მუხლით. განყოფილების მოხელეების ფუნქციები განისაზღვრება შესაბამისი სამუშაოთა აღწერილობებით.
7. სამსახურის მოხელეთა თანამდებობაზე დანიშვნა-გათავისუფლებისა და სამსახურებრივი კარიერის გავლის წესები განისაზღვრება მერიის დებულებით ,,საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.
შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 თებერვლის დადგენილება №14 - ვებგვერდი, 02.03.2018წ.

მუხლი 3. სამსახურის ფუნქციები
სამსახური დადგენილი წესით უზრუნველყოფს:
ა) მუნიციპალური ინფრასტრუქტურის – ადგილობრივი მნიშვნელობის გზების, ხიდების, გარე განათების, სანიაღვრე მეურნეობის, მუნიციპალიტეტის გამგებლობაში არსებული კომუნიკაციების შექმნის, რეაბილიტაციისა და განვითარების დაგეგმვას, შესაბამისი პროგრამებისა და პროექტების მომზადებას, მათი განხორციელების კოორდინაციას; მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიების, პროგრამების და პროექტების მომზადებას, მათ განხორციელების მონიტორინგს და შეფასებას;
ბ) მუნიციპალური ინფრასტრუქტურის ობიექტების შენახვასა და მოვლა-პატრონობას;
გ) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემას; მოსახლეობის მუნიციპალური ტრანსპორტით მომსახურების ორგანიზებას; წინადადებების მომზადებას მუნიციპალური საზოგადოებრივი ტრანსპორტის შექმნის, რეაბილიტაციისა და განვითარების თაობაზე;
დ) მუნიციპალიტეტის დასახლებათა ტერიტორიების კეთილმოწყობის დაგეგმვას, შესაბამისი პროგრამებისა და პროექტების მომზადებას, მათი განხორციელების კოორდინაციას;
ე) წყალმომარაგების (მათ შორის, ტექნიკური წყლით მომარაგების) და წყალარინების უზრუნველყოფას;
ვ) წინადადებების შემუშავებას ვაჭრობის და გარე რეკლამის რეგულირების საკითხებზე;
ზ) წინადადებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავებას მუნიციპალიტეტის დასახლებათა დასუფთავების, ნარჩენების გატანისა და უტილიზაციის საკითხებზე;
თ) ტერიტორიის დასუფთავებისა და ნარჩენების გატანის სამუშაოთა ორგანიზებას;
ი) სასაფლაობის მოვლა-პატრონობას, შესაბამისი საზოგადოებრივი მომსახურების ორგანიზებას;
კ) მიწათსარგებლობის, საზოგადოებრივი მომსახურეობის, ტერიტორიის კეთილმოწყობისა და დასუფთავების, რეკლამის განთავსების წესების დარღვევასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების პრევენციასა და აღკვეთას;
ლ) ეკონომიკური განვითარების დაგეგმვისათვის სათანადო სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვებასა და დამუშავებას;
მ) ეკონომიკური განვითარების მუნიციპალური პროგრამებისა და პროექტების შემუშავებას; წინადადებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავებას ეკონომიკური განვითარების მიზნით ინვესტიციების დაგეგმვის, ინვესტორებთან თანამშრომლობის, შესაბამისი საინვესტიციო პროგრამებისა და პროექტების მომზადების საკითხებზე; ეკონომიკური განვითარების მუნიციპალური პროგრამების განხორციელების მონიტორინგს;
ნ) მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ურბანული განვითარების დაგეგმვას;
ო) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიწათსარგებლობის დაგეგმვას, უფლებრივ ზონირებას;
პ) დასახლებთა მიწათსარგებლობის გენერალური გეგმების შემუშავებას; დასახლებათა განაშენიანების რეგულირების გეგმების შემუშავებას;
ჟ) დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შემუშავებას;
რ) გეგმარებითი დავალებების მომზადებას; მუნიციპალიტეტის დაკვეთით განხორციელებული ობიექტების დაპროექტებისა და მშენებლობის კოორდინაციას;
ს) მშენებლობის ნებართვების გასაცემად საჭირო პირობების, საპროექტო და სხვა დოკუმენტაციების კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე დასკვნების შემუშავებას;
ტ) მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ქალაქმშენებლობის საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემის

შექმნასა და განვითარებას; მშენებლობის ნებართვების თაობაზე მერის ბრძანებების პროექტების შემუშავებას;
უ) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საწარმოთა წილების, აქციების, ფასიანი ქაღალდების აღრიცხვას, ინვენტარიზაციას, მუნიციპალური ქონების მონაცემთა ბაზის შექმნასა და განახლებას; მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების რეგისტრაციას; წინადადებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადებას მუნიციპალიტეტის ქონებისათვის კატეგორიის შეცვლის თაობაზე, ქონებით სარგებლობისა და განკარგვის საკითხებზე;
ფ) წინადადებების და საჭირო დოკუმენტაციის მომზადებას მუნიციპალური ქონების შექმნის, შეძენის, პრივატიზების ან სარგებლობაში გადაცემის საკითხებზე;
ქ) ზედამხედველობას მუნიციპალური ქონების მართლზომიერ სარგებლობასა და განკარგვაზე;
ღ) მუნიციპალიტეტის მონაწილეობით დაფუძნებულ საწარმოებში პარტნიორის, აქციონერის უფლება-მოვალეობათა განხორციელებას;
ყ) მოქმედი კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელებას.

მუხლი 4. ქონებისა და მიწის მართვის განყოფილების ფუნქციები

ქონებისა და მიწის მართვის განყოფილება დადგენილი წესით უზრუნველყოფს:
ა) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აღრიცხვას და რეგისტრაციას;
ბ) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული აქციების, ფასიანი ქაღალდების აღრიცხვას;
გ) რეკომენდაციების შემუშავებას მუნიციპალური ქონების კატეგორიების განსაზღვრასა და შეცვლასთან დაკავშირებით;
დ) საჭირო დოკუმენტაციის მომზადებას სახელმწიფო საკუთრების ქონების მუნიციპალურ საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით;
ე) რეკომენდაციების შემუშავებას მუნიციპალიტეტის წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოების მართვის საკითხებზე;
ვ) რეკომენდაციების შემუშავებას მუნიციპალური ქონებით სარგებლობის წესებთან დაკავშირებით;
ზ) რეკომენდაციების შემუშავებას მუნიციპალური ქონების პრივატიზებასა და სარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებით;
თ) მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ქონების აღრიცხვის, მატერიალურ-პასუხისმგებელ პირებზე ჩაბარება-გადაბარების, ინვენტარიზაციის ჩატარების ორგანიზება და კონტროლი;
ი) თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში ან საკუთრებაში გადაცემისას საწყისი ღირებულების შესახებ ინფორმაციის მომზადება და გაცემა;
კ) თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების აბონენტად აყვანისათვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადება და გადაგზავნა შესაბამის დაწესებულებაში;
ლ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარემოს დაბინძურების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის სტატისტიკური დამუშავება და შესაბამისი მასალების მომზადება;
მ) გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების, მიწის და სატყეო მეურნეობის რაციონალური კომპლექსური სარგებლობის მართვა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე;
ნ) ტყის სარგებლობასა და დაცვაზე სათანადო ღონისძიებების განხორციელებაში მონაწილეობის მიღება მოქმედი კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში;
ო) ადგილობრივი ბუნებრივი რესურსების გამოყენებაზე წინადადების მომზადება, ბუნებრივ სიმდიდრეთა ათვისებასა და გარემოს დაცვის საკითხების კონტროლი;
პ) კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად მუნიციპალიტეტში მიწის რეფორმის განხორციელებასთან დაკავშირებით სამუშაოთა ორგანიზაცია, მიწის გამოყოფის, დანიშნულების შეცვლის და გადაცემის შესახებ მასალების მომზადება, მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად და გადაწყვეტილების მისაღებად წარდგენა;
ჟ) მიწის ერთი კატეგორიიდან სხვა კატეგორიაში გადაყვანისას მასალების მომზადება და წარდგენა დასამტკიცებლად;
რ) თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში, აგრეთვე თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე მდებარე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შესახებ ინფორმაციის გაცემა;
ს) მოქმედი კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელებას.

მუხლი 5. მშენებლობისა და სივრცითი მოწყობის განყოფილების ფუნქციები

მშენებლობისა და სივრცითი მოწყობის განყოფილება დადგენილი წესით უზრუნველყოფს:
ა) სივრცითი მოწყობისა და ქალაქმშენებლობის დოკუმენტების მომზადების ორგანიზებას;
ბ) წინადადებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავებას სივრცითი მოწყობისა და

ქალაქმშენებლობითი დოკუმენტების პროექტებზე;
გ) წინადადებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადებას დასახლებათა მიწათსარგებლობის, უფლებრივი ზონირების, ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხებზე;
დ) გეგმარებითი დავალებების მომზადებას, განიხილავს და შეითანხმებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელ ყველა სახის გეგმარებით პროექტებს, საბინაო-საქალაქო, სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო და კომუნალური დანიშნულების საპროექტო დოკუმენტაციას. საჭიროების შემთხვევაში, კანონით დადგენილი წესის შესაბამისად წარუდგენს აღნიშნულ დოკუმენტაციას ზემდგომ ორგანოებს ექსპერტიზის ჩასატარებლად ან შეთანხმების მიზნით;
ე) მუნიციპალიტეტისათვის საჭირო ყველა სახის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებას. არქიტექტურულ-გეგმარებით დავალებების მომზადებას ყველა სახის მშენებლობაზე, რეკონსტრუქციაზე, კაპიტალურ შეკეთებაზე (რემონტზე), რესტავრაციაზე, ტერიტორიების კეთილმოწყობაზე, საინჟინრო ნაგებობების და კომუნალური ობიექტების დაპროექტებზე;
ვ) საკომპენსაციო თანხებით მოქალაქეთა უზრუნველყოფის პროგრამასთან(უნებართვოდ აშენებული ავტოფარეხების, შენობა-ნაგებობების, მიშენების ან დაშენების დემონტაჟისათვის საჭირო თანხებით და რესურსებით) დაკავშირებული საკითხების მართვას;
ზ) მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ქალაქმშენებლობის საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემის ჩამოყალიბებასა და განვითარებას;
თ) სამშენებლო მუნიციპალური დაკვეთების მომზადებას და მათი განხორციელების კოორდინაციას;
ი) წინადადებების შემუშავებას და მომზადებას გარე რეკლამის განთავსების საკითხებზე, კულტურის და სპორტის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციაზე;
კ) საქმისწარმოებას მშენებლობის ნებართვების გაცემასთან დაკავშირებით, უკანონოდ ან პროექტის დარღვევით აშენებული შენობების ლეგალიზაციას, შენობა-ნაგებობების ვარგისად აღიარებას, მშენებლობის კონსერვაციას, მშენებლობების მიმდინარეობაზე კონტროლს;
ლ) მშენებლობის ნებართვების თაობაზე მერის სამართლებრივი აქტების შემუშავებას;
მ) წინადადებების შემუშავებას ვაჭრობის და გარე რეკლამის რეგულირების საკითხებზე;
ნ) მოქმედი კანონმდებლობით და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელებას.

მუხლი 6. ეკონომიკური დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების ფუნქციები

1. ეკონომიკური დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის საკითხებში განყოფილების ფუნქციებია:
ა) მუნიციპალური ინფრასტრუქტურის – ადგილობრივი მნიშვნელობის გზების, ხიდების, გარე განათების, სანიაღვრე მეურნეობის, მუნიციპალიტეტის გამგებლობაში არსებული კომუნიკაციების შექმნის, რეაბილიტაციისა და განვითარების დაგეგმვას, შესაბამისი პროგრამებისა და პროექტების მომზადებას, მათი განხორციელების კოორდინაციას; მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიების, პროგრამების და პროექტების მომზადებას, მათ განხორციელების მონიტორინგს და შეფასებას;
ბ) ეკონომიკური განვითარების მუნიციპალური პროგრამებისა და პროექტების შემუშავებას; ეკონომიკური განვითარების მუნიციპალური პროგრამების განხორციელების მონიტორინგს. ეკონომიკური განვითარების დასაგეგმად საჭირო სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვებასა და დამუშავებას;
გ) ტერიტორიის კეთილმოწყობის მუნიციპალური პროგრამებისა და პროექტების მომზადებას და მათ განსახორციელებლად რეკომენდაციებისა და წინადადებების შემუშავებას;
დ) წინადადებების შემუშავებას ტერიტორიის დასუფთავებისა და ნარჩენების გატანის, ტერიტორიის გამწვანების და მაწანწალა ცხოველებისაგან ტერიტორიის გაწმენდის საკითხებზე შესაბამის სამუშაოთა დაგეგმვას და ორგანიზებას;
ე) წყალმომარაგების (მათ შორის, ტექნიკური წყლით მომარაგების) და წყალარინების უზრუნველყოფის მიზნით შესაბამის სამუშაოთა დაგეგმვას და მათი შესრულების კოორდინაციას;
ვ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათებისა, სანიაღვრე და სარწყავი არხების ქსელის ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველყოფას;
ზ) ამზადებს წინადადებებს გამწმენდ ნაგებობათა, ნაგავგადამამუშავებელ საწარმოთა შექმნასა და შენახვაზე;
თ) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის დაგეგმარებას, მარშრუტებისა და გრაფიკების დადგენას, რეგულარულ სამგზავრო გადაყვანის შესახებ შესაბამის ნებართვის გაცემას;
ი) მოსახლეობის მუნიციპალური ტრანსპორტით მომსახურების ორგანიზებას; წინადადებების მომზადებას მუნიციპალური საზოგადოებრივი ტრანსპორტის შექმნის, რეაბილიტაციისა და განვითარების თაობაზე;
კ) წინადადებების დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადებას მუნიციპალური ტრანსპორტის ორგანიზების საკითხებზე, შესაბამისი მუნიციპალური პროგრამების შემუშავებასა და მათი განხორციელების მონიტორინგს;
ლ) ადგილობრივი მოსაკრებლებისა და შუახევის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, იჯარით გაცემული ქონების ქირის ამოღებაზე კონტროლი;

მ) ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარებისა და ხელშეწყობის პროგრამებთან დაკავშირებული საკითხების მართვა;
ნ) წინადადებების შემუშავებას დასუფთავების მოსაკრებელის შემოღება-გაუქმებისა და მისი ოდენობის განსაზღვრის, მოსაკრებელის ადმინისტრირების საკითხებზე, ადგილობრივი მოსაკრებლების ამოღებას;
ო) წინადადებების შემუშავებას სასაფლაოების მოვლა-პატრონობისა და შესაბამისი საზოგადოებრივი მომსახურების ორგანიზების საკითხებზე;
პ) წინადადებების შემუშავებას გარე ვაჭრობის რეგულირების სფეროში;
ჟ) წინადადებების და საჭირო დოკუმენტაციის მომზადებას მუნიციპალიტეტის მონაწილეობით საწარმოების დაფუძნების, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის საკითხებზე;
რ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კერძო ინვესტიციების ხელშეწყობისათვის წინადადებების მომზადებას; მუნიციპალური პროექტების კერძო ინვესტორებთან, მუნიციპალური განვითარების ფონდთან და დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობების წარმართვას; მუნიციპალიტეტის მონაწილეობით საინვესტიციო პროექტების განხორციელების ზედამხედველობას;
ს) მოქმედი კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელებას;
ტ) ეკომიგრაციისა და მასთან დაკავშირებულ საკითხებთან დაკავშირებით ღონისძიებების შემუშავება და მათი განხორციელების ზედამხედველობა;
უ) სტიქიური მოვლენების შედეგად მიყენებული ზარალის სალიკვიდაციო ღონისძიებების შემუშავება, მათი განხორციელების ზედამხედველობა.
2. სოფლის მეურნეობის საკითხებში განყოფილების ფუნქციებია:
ა) სოციალურ, სტიქიის და სოფლის მეურნეობის სფეროში მომუშავე არასამთავრობო სექტორთან ურთიერთობა და თანამშრომლობა;
ბ) შუახევის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის განვითარებისა და მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა.
გ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მეურნეობის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის რეალიზაციისა და აგრარული რეფორმების განხორციელების ხელშეწყობისთვის აუცილებელი წინადადებების შემუშავება და სათანადო ღონისძიებების დაგეგმვა;
დ) აგროსასურსათო, აგროგადამამუშავებელი, ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების, მეფუტკრეობის, მემცენარეობის, მეცხოველეობის, მეთევზეობის, აგროსაინჟინრო და ვეტერინარიის დარგების ხელშემწყობი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება;
ე) სოფლის მეურნეობის დარგში დასაქმებული მეურნე სუბიექტებისა და დაინტერესებული პირებისთვის დახმარების გაწევა პრობლემების გადაწყვეტაში;
ვ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი, დაინტერესებული ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების ახალი ტექნოლოგიების, ცხოველთა მოვლა-მოშენების თანამედროვე მეთოდების და საკვები რაციონის შესახებ ინფორმაციის მომზადება და მიწოდება, ამ მიზნით კომპეტენტურ ინსტიტუტებთან და სპეციალისტებთან თანამშრომლობა;
ზ) სასურსათო პროდუქტების გადამამუშავებელი, შესანახი ინფრასტრუქტურის, სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარების, მომსახურების ცენტრების და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების შესახებ ინფორმაციის კონსოლიდაცია და დაინტერესებული უწყებებისთვის (პირებისთვის) მიწოდება;
თ) მელიორაციის სფეროში საქართველოს მთავრობის და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დაგეგმილი პროექტების განხორციელების ხელშეწყობა უფლებამოსილების ფარგლებში;
ი) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მეურნეობის დარგებსა და სფეროებში გამოვლენილი პრობლემებისა და არსებული მდგომარეობის ანალიზი და შეფასება;
კ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარების ხელშეწყობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
ლ) სოფლის მეურნეობის სფეროში მონაცემთა საინფორმაციო ბაზის შექმნა;
მ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მეურნეობის განვითარების და ხელშეწყობის პროგრამების შემუშავება და განხორციელება.
შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 თებერვლის დადგენილება №14 - ვებგვერდი, 02.03.2018წ.

მუხლი 7. სამსახურის დებულებაში ცვლილების შეტანა

სამსახურის დებულებაში ცვლილების შეტანა ხდება, მოქმედი კანონდებლობის შესაბამისად.
შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის დადგენილება №8 - ვებგვერდი, 05.02.2018წ.